ქონების მართვის, ეკონომიკურ და სოფლის მეურნეობის საკითხთა კომისიის დასკვნა ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ქონების 2024 წლის დამატებითი საპრივატიზაციო ნუსხისა და დამატებითი პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ.

ქონების მართვის, ეკონომიკურ და სოფლის მეურნეობის საკითხთა კომისიამ განიხილა ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ქონების 2024 წლის დამატებითი საპრივატიზაციო ნუსხისა და დამატებითი პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი და მის მიმართ შენიშვნები არ გააჩნია

ქონების მართვის, ეკონომიკურ და სოფლის მეურნეობის საკითხთა კომისიის დასკვნა ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის პროექტის შესახებ.

კომისიამ განიხილა ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის განკარგულების პროექტი და მის მიმართ გააჩნია აღნიშნული შენიშვნები:

მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის პროექტში აუცილებელია გათვალისწინებული იქნას, ადმინისტრაციულ ერთეულებში წყალსადენების ქსელის მოწყობისა და რეაბილიტაციის სამუშაოებისათვის საბიუჯეტო ასიგნებები.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ წარმოდგენილ 2025 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის პროექტის მე-10 მუხლში, ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება განსაზღვრულია 1, 000 ათასი ლარით.

გთხოვთ, დამატებით გვაცნობოთ აღნიშნული ცვლილების რაოდენობის წარმოშობის შესახებ და მოგვცეთ განმარტება, რამდენად შესაბამისობაშია ეს საბიუჯეტო კოდექსთან.